ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტის სამსახურში მისაღებად რექტორის 2022 წლის 10 ივნისის N 175/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 24 ივნისის N50/2022 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№4 ოქმი

ქ. თბილისი

"22" ივლისი 2022 წ.

12.00 საათი, თსუ VIII კორპუსი, აუდიტორია №204

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან 5 წევრი: პროფ. ქ. ხუციშვილი, ასოც. პროფ. თ. გვიმრაძე, ასოც. პროფ. რ. გუჯეჯიანი, დოქტ. თ. ღუდუშაური, დოქტ. ნ. მინდაძე

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, პროფ. ქეთევან ხუციშვილის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის **სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტის** 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა - ბორის კომახიძემ.

ბორის კომახიძემ შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2). გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3). გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი ბორის კომახიძის კანდიდატურას.

დაადგინეს: ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტის 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: **ბორის კომახიძე.**

კომისიის თავმჯდომარე:

მოადგილე:

წევრები: თ. ბოლოქაძე ნ. [illegible]

კომისიის მდივანი: ლ. [illegible]

თარიღი:
22.07.22